ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N27
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დ.ადიგენი 6 მარტი 2019 **წელი**

ერთის მხრივ, ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „დამკვეთი“)წარმოდგენილი მისი მერის მოვალეობის შემსრულებელის არსენ ბალახაშვილის სახით, და მეორეს მხრივ **შპს „ეტალონი-მედია“** (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მანანა ღოღობერიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1] " ქვეპუნქტის შესაბამისად. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი:

1.1ადიგენის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სახსრებით წინამდებარე ხელშეკრულების საგანია „საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონი“ ჩატარება ადიგენის მუნიციპალიტეტში და მასში ადიგენის მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეების მონაწილეობა;

(კლასიპიკატორის კოდი **CPVკოდი: 92200000 - სატელევიზიო და რადიომომსახურებები).**

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება:

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2960(ორიათასცხრაასსამოცი) ლარი.(თანხა ითვალისწინებს ყველა სახელმწიფო გადასახადს).

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის(მომსახურების) ხარისხი:

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, გასაწევი მოსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს ,,შემსყიდველის" მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის(მომსახურების) მიწოდების ვადა და ადგილი:

4.1 მომსახურების გაწევა იწარმოებს 2019 წლის 13 მარტს.

4.2 მომსახურების გაწევის ადგილია-დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლა.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის(მომსახურების) მიღება -ჩაბარების წესი:

5.1 ხელშეკრულების ობიექტი ჩაითვლება მიღებულად, მხარეების მიერ სათანადოდ შედგენილი მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

მუხლი 6. ანგარიშსწორების ფორმა:

6.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში;

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ ,,შემსყიდველის“ (უფლებამოსილიპირის) მხრიდან წარმოდგენილი დადებითი დასკვნის და ,,მიმწოდებლის“ მხრიდან წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების/ანგარიშფაქტურის საფუძველზე მხარეების მიერ სათანადოდ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

შემსყიდველი ვალდებულია:

7.2. უზრუნველყოს კონკურსის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად ინტელექტუალური კონკურსის ჩატარების ადგილის შერჩევა და მისი შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა.

7.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.4. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.5. მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულებების სხვა პირობების დაცვა.

მიმწოდებელი ვალდებულია:

7.6. უზრუნველყოს ინტელექტუალური კონკურსისთვის კითხვების მომზადება, კონკურსის ადგილზე ჩასატარებლად სპეციალური კომპიუტერული ტექნიკის ჩატანა-გამართვა;

7.7. ინტელექტუალური კონკურსის ჩატარება განახორციელოს სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტ „ეტალონის“ პრინციპით, კონკურსი ჩაატაროს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ტექნიკურმა და შემოქმედებითმა ჯგუფმა.

7.8. საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონი“ ადიგენის მუნიციპალიტეტში ჩატარებას გაუძღვეს „ეტალონის“ ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი.

მუხლი 8. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას:

8.1. მხარეები პასუხისმგებლები არიან ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის საქართველოს მოქმედი პასუხისმგებლობის შესაბამისად.

8.2. ,,მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ვალდებულების შესრულების ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების 0,05 %-ის ოდენობით.

8.3. იმ შემთხვევაში თუ დავალიანების თანხა მიაღწევს მთლიანი ღირებულების 5%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ,,მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი, გასაწევი მომსახურების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

8.4 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა:

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოების დადგომის შემთხვევაში , ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.5. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება:

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 11. უფლებების გადაცემა:

11.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი:

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებები შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორი გარემოებების შედეგი.

12.2 ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათ კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ,,შემსყიდველისა“ ან ,,მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორი გარეომოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების

გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს შესრულების ისეთი ალტერნატიურლი ხერხები, რომლების დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 13. დავის გადაწყვეტის წესი:

13.1 ყველა დავა და უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წყდება მხოლოდ მხარეთა შორის მოლაპარაკების შედეგად. იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკების შედეგად შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული მაშინ მხარეთა შორის დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო.

მუხლი 14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი:

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის(მომსახურების) მიწოდების პარარელურად განახორციელოს შემოწმება, კონტროლი, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებთან და მოთხოვნებთან.

14.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული გაწეული მომსახურების და წუნდების მიზეზის მითითებით.

14.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა გაწეული წუნდებული მომსახურების აღმოფხვრა.

14.4. კონტროლს განახორციელებს ***ეთერ ლომჯანიძე*** - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

მუხლი 15. სხვა პირობები:

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.3 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15.4 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

15.5 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

მუხლი 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

16.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 10 მაისის ჩათვლით.

მუხლი: 17. რეკვიზიტები:

,,შემსყიდველი"

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია, მის: დ.ადიგენი, თამარ მეფის ქუჩა №5 საიდენტიფიკაციო ნომერი:№222729162,ხაზინის ერთიანი ანგარიში: TRESGE22 ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022.
მუნიციპალიტეტის მერის მ/შ არსენ ბალახაშვილი.

ADIGENI MUNICIPALITY

Digitally signed by ADIGENI MUNICIPALITY
Date: 2019.03.06 17:06:57 +04'00'

,,მიმწოდებელი"

შპს „ეტალონი-მედია"; მისამართი:ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N116,დიდუბე პლაზა,ოფისი N203,ს/კ 204572024, სს „ბანკი ქართუ" , ბანკის კოდი CRTUGE22, ა/ა GE08CR0030086101003608.
დირექტორი მანანა ღოღობერიძე.

LTD "ETALONI-MEDIA"

Digitally signed by LTD "ETALONI-MEDIA"
Date: 2019.03.06 15:52:58 +04'00'